

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N12/51

პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება 270101
გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი

16 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (შემდგომში "შემსყიდველი") მინისტრის მოადგილის თეიმურაზ მღებრიშვილის სახით და მეორე მხრივ შპს „ბრიკო კავკასუსი“ (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის მამუკა დოლიძის სახით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, საფუძველზე, საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3¹ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საჭიროებისათვის რკინის სათლი/ვედროს შესყიდვა. (CPV39224330 - სათლი/ვედრო).

2. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტია სათლი/ვედრო.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 22. 50 ლარს (ოცდაორი ლარი და 50 თეთრი)

3.2. ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადი.

3.3. შესყიდვის ობიექტების აღწერილობა, რაოდენობა, ერთეულის და საერთო ღირებულება განისაზღვრება დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას.

3.4. ხელშეკრულების 3.3. პუნქტში აღნიშნული დანართი 1 (ერთი) ფურცლად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. მიწოდებული საქონლის ხარისხი, გარანტია, მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. მიმწოდებელი მოწოდებულ საქონელზე იძლევა გარანტიას რომ, დანართი N1-ით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი იქნება შესაბამისობაში ხელშეკრულებასთან და დანართი N1-ით განსაზღვრულ პირობებთან;

4.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2016 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით;

4.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტების მიწოდების ადგილია შპს „ბრიკო კავკასუსი“, მდებარე ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. N8.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტში აღნიშნული მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია ლოჯისტიკის დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს შტატგარეშე მოსამსახურე მიხეილ დიდიძე.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს 5.1. პუნქტში აღნიშნული მიღება ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები.

6.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 6.3. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.5. მიმწოდებელმა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის 6.3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია თუ არ წარუდგინა შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამთავრების დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, მიმწოდებელი 3 (სამი) თვის გასვლის შემდეგ კარგავს შესყიდვის ობიექტზე თანხის მოთხოვნის უფლებას შემსყიდველისათვის დოკუმენტაციის წარუდგენლობის გამო.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიღება.

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს საქონლის ხარისხის და რაოდენობის შესაბამისობა ხელშეკრულებასთან და დანართი N1-თან.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხიანი საქონელი;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით და დანართი N1 - ში გათვალისწინებული ყველა პირობა;

გ) შემსყიდველს წარუდგინოს 6.3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია

დ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

8.2 საქონლის დაგვიანებით მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 31 იანვრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების

შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობით ფორმით მიზეზის მითითებით, ან სატელეფონო შეტყობინებით, რომელიც უნდა დაადასტუროს შემდგომ წერილობითი ფორმით.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. საქონლის მიწოდების პარალელურად შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება და წარმოადგინოს ინსპექტირების აქტი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

12.2. ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს საქონლის რაოდენობა და აღმოჩენილი ნაკლი (იმ შემთხვევაში თუ ნაკლი თვალხილულია).

12.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის ან/და ნაკლის შესახებ და მოითხოვოს მიმწოდებლის ხარჯით მისი აღმოფხვრა.

12.4. ინსპექტირების აქტის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში მოწოდებულ საქონელს ჩაუტარდება ექსპერტიზა.

12.5. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მინისტრის მიერ უფლებამოსილი პირი.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის ან/და სატელეფონო შეტყობინების შემდეგ, თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

გ) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე;

დ) ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე;

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

13.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

- 14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
- 14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

- 15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ერთი მიმწოდებელთან და ორი შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|--|
| <p>საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო</p> <p>მის: ქ. თბილისი, ს. ეულის ქ. N3 ს/კ 204564934</p> <p>სახელმწიფო ხაზინა კოდი: ს/კ 220101222; ა/ა 200122900</p> <p>მინისტრის მოადგილე</p>  <p>/თეიმურაზ მღებრიშვილი/</p> | <p>შპს „ბრიკო კავკასუსი“</p> <p>მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. N8 ს/კ 405067494</p> <p>სს „ბანკი რესპუბლიკა“ ბ/კ „REFLGE22“ ა/ა GE80BR0000010286532759</p> <p>დირექტორი</p>  <p>/მამუკა დოლიძე/</p> |

დანართი N1

ფასების ცხრილი

| # | შეყიდვის ობიექტის დასახელება | ტექნიკური მახასიათებლები | განზ. | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) |
|-------|------------------------------|--------------------------|-------|-----------|----------------------|--------------------|
| 1 | რკინის სათლი/ვედრო | არანაკლებ 10 ლ. | ცალი | 5 | 4.50 | 22.50 |
| ჯამი: | | | | | | 22.50 |

შემსყიდველი:

საქართველოს სასაგარეო ურთიერთობის და პროზაგიის სამინისტრო



თებულის მფლობელი



მფლობელი



საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 16 დეკემბერი 2016 წელი

მიმწოდებელი: შპს „ბრიკო კავკასუსი“

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, ასევე გავცანით ხელშეკრულების პირობებს რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ა. ჯებისაშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

გ. ციბაძე

ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

ი. ჩიქოვანი

ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

მ. მიქაცაძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ა. დარახველიძე

საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი

რ. ციციშვილი

ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის სამმართველოს უფროსი

მ. ხულორდავა